№ 229. 13 ნოემბერი, კვირა. 1866—1883 13 ნოემბერი, კვირა. № 229.

# დროება

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. ⁞ სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ⁞ ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

დღესასწაულის გამო სამშაბათს გაზეთი არ გამოვა.

მიიღება ხელის-მოწერა
მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»*.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

---

არწრუნის თეატრი.

დღეს, 13 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

პირველად

მეხუთე მოქმედება შილერის დრამიდამ

**ყაჩაღები**

პირველად

**ტკბილი სიზმარი, აღშფოთებული გამოფხიზლება**

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედებად

**III**

**კინტო**

კომედია 3 მოქ. თხზ. ა. წერეთლისა.

დასაწყისი 8 საათზედ. (1—1)

---

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

11 ნოემბერს.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრო არღვევს გაზ. «სოვრემენნია იზვესტიაში» მოყვანილს და შემდეგ სხვა გაზეთებში გადაბეჭდილს ცნობას, ვითომც 24 აგვისტოს მეოთხე მოსკოვის გიმნაზიის ნაშეგირდალმა შეურაცყოფა მიაყენა მოქმედებით ძველთა ენების მასწავლებელს, რის გულისთვისაც ის ვითომც გენერალ-გუბერნატორმა თურქესტანში სალდათად გაგზავნაო. ხსენებულ გიმნაზიაში ამ გვარი არა ყოფილა რა.

«პეტერბურგის უწყებები» იწერებიან, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს მთელს იმპერიაში და პრივისლიანის მხარეში ლუდის აქციზს 10 კაპეიკი მოუმატოს, ამ აქციზის მომატებისგან შემოსავალი უწინდელზე 2,600,000 მანეთით მომატებული იქმნება.

«ფიხტელგონცის» ფირმა გაკოტრდა ბერდიჩევში, კიევში და ხარკოვში; 700,000 მანათი დააკლდა.

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში უკიდურესი მარცხენა მხარე ჰკიცხავდა სასულიერო წოდების მოქმედებას და თხოულობდა, რომ ეკლესია სახელმწიფოდამ განცალკევდეს მინისტრმა-პრეზიდენტმა და სარწმუნოებათა მინისტრმა იმედი მისცეს, რომ ეკლესია მალე განცალკევდება სახელმწიფოსგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით საჭიროა, კონკორდატს მივდევდეთო.

კონხინის გუბერნატორმა მოიწერა ტელეგრამით, რომ ხაიფონგიდგან წამოსული მაშველი ჯარები უკვე გზაში არიან.

---

## «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება»

თბილისი, 12 ნოემბერი.

ყველა, ვისაც კი გული შესტკივა სწავლა-განათლების საქმისათვის ჩვენში, დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ-ყურს «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» მოღვაწეობას. ეს სწორედ ასე უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი პირველ-დაწყებითი განათლება, მერე იმისთანა, რომელიც სასურველია ყველა ნამდვილი მამულიშვილისათვის, დამოკიდებულია ზემოდ ხსენებულ საზოგადოებაზე. ამ საზოგადოების წესდება და მოქმედება, როგორც ჩვენ ვამბობდით «დროების» მე-212-ს №-ში, დამყარებულია ნამდვილს და

---

«დროების» ფელეტონი, 13 ნოემ.

## გლეხის პასუხი

(ვუძღვნი გ. და—შვილს)

სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია,
უქუდო ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.

—

ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მალგა გასაჭირია,
სადაც კი ვარდსა დავეძებ,
იქ მხვდება ეკლის ძირია.

—

მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია;
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამიღია პირია.

—

მე ვინ მომაცლის იმდენსა,
გლეხმა ვისწავლო ანბანი,
დავჯდე და წიგნი ვიკითხო
გავიგო ქვეყნის ამბავი.

—

მიწაა ჩემი ქაღალდი,
გუთანი—გასრი კალამი,
და მელნად ჩემგნით ნაწური
ოფლი, უზომოდ ნაღვარი.

—

ლომას და კონქას ჭირიმე,
დამითესავენ ყანასა,
ხოდაბუნს ძმაში არ გავცვლი,
დავმღერი ჰოროველასა.

—

რად მინდა თქვენი ანბანი,
რად მინდა თქვენი დავთარი,
უწიგნურ მუნჯი შევქმნილვარ,
ვერ მითქვამ ერთი მართალი.

—

დრო მოვა, წავა, გაივლის,
ეს დრო, ვით ცივი ზამთარი;
არსენავ, გლეხის მოყვარევ!
გავხდები შენი ამქარი.

—

მაშინ გაფუჭდეს გოგია,
თუ შემეშინდეს რისამე,
ქონება მქონდეს არ გავსცე,
ოხრად დამირჩეს ქისა მე;

—

თავზედ დამექცეს ცა რისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე

ი. დ.

1883 წ.

---

## რა განკურნებს?

(მოთხრობა ერთს წერილში)

მეგობარო!

წავიკითხე შენი წერილი. მიჯავრდები. მომიტევე, წუხელაც რომ ისე სიამოვნებით ვერ გაგატარებინე დრო, როგორც კვლავ... თუმცა ყოველივე: მშვენიერი გრილი საღამო, ბადრი მთოვარე და ბევრი სხვაც ხელს ვიწყობდა — დაერღვია, უკუ ექცია ჩემი სენი, საძაგელი, მგონი, განუკურნებელი სენი—დაწყევლილი «სომუნჯე».

ეხლა მემუდარები აგიხსნა მიზეზი ამ ჩემის სენისა. კარგი, ძმაო. თუმცა სამძიმოც არის ჩემთვის ამ საიდუმლოს გამჟღავნება და დიდი ხანიც არის რაც, ამ საიდუმლოს ვინახავ გულის სიღრმეში, მაგრამ ეხლა ისეთს მდგომარეობაში ვარ, რომ უნდა წარმოვსთქვა—განგიზიარო.

არის ხოლმე ისეთი გულის-საიდუმლო, რომელიც არ ძალ-გიძს არა თუ სხვა ვისმეს გადასცე, თვით შენს თავსაც უჯავრდები, რომ ხანდისხან მოგაგონდება. მაგრამ, მაგიერ არის ისეთი დროც, ძნელად ასახსნელი გარემოება, ოდეს თვით ამ გვარ საიდუმლოსაც ვერ ინახავს გული და ითხოვს სხვა გულთან გაზიარებას. სწორედ ამ გვარს მდგომარეობაში შემასწრო მე შენმა წერილმა და ვამჟღავნებ ჩემს საიდუმლოს. ხედავ, არ ვამბობ— «გიმჟღავნებ», არამედ «ვამჟღავნებ»-მეთქი, რადგან, ვიცი, ჩვენს ჭორიანს საუკუნეში თვით უდიდესი საიდუმლოებაც არა რჩება ორთა-შუა...

მე ვიწყებ... მაგრამ ცოტა შორიდამ...

—

ჯერ კიდევ მოწაფე ვიყავ.

იდგა ჩვენის ქალაქისებური ტურფა მაისის საღამო. დღე იყო შაბათი, მაშასადამე, საღამო თავისუფალი და უდარდელი ყოველის მოწაფისათვის.

მე გამოველ სასეირნოდ. დიდი, გძელი ქუჩა გაიშალა ჩემ წინ. თითქო ვეძებ ვისმე, ისე ვათვალიერებდი ყოველს ფანჯარას გავლილის სახლისას. (შემდეგში ბევრი ვსწყევლე ეს უმსგავსი ცნობის-მოყვარეობა ადამიანისა).

ბოლოს შემხვდა ის ფანჯარაც, რომელსაც ეხლა, ჩემს მიხედვასთან ერთად, კრულვის გარდა არას ვარგუნებ ხოლმე.

ფანჯარაზედ იჯდა ის—მშვენიერი—უმშვენიერესი თვით იმ მაისის ტურფა საღამოზედ და გაბადრულს მთვარეზედ.

თვალნი თვალთ მოხვდა და მისთა

ჭეშმარიტს პედაგოგიურს საფუძველზედ. რასაკვირველია, ყოველივე რაც წინ გადელობება «საზოგადოების» მოღვაწეობას, ყველასთვის შემაძრწუნებელია, რადგანაც «საზოგადოების» ფრთების შეკვეცა მოასწავებს ჩვენში სწავლა-განათლების საქმის შეფერხებას. «დროების» იმავე მე-212 №-ში ჩვენ დავასახელეთ «საზოგადოების» მოქმედების ზოგიერთა დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც წარმოსდგებიან «საზოგადოების» წევრთა დაუდევრობისა და გულ-გრილობისაგან; მაგრამ ეს ისეთი მიზეზებია, რომელთაც «საზოგადოება», იმედია, დასძლევდა და თავის ნაყოფიერ მოღვაწეობით დაიმსახურებდა მთელი საქართველოს ყურადღებას, თუ რომ იმ მიზეზებს სხვა რომელიმე გარეშე მიზეზი არ დართოდა; ეს გარეშე მიზეზი, როგორაც სჩანს «საზოგადოების» ანგარიშიდამ, იმოდენად მძლავრია, რომ იმის თავიდამ ასაცილებლად «საზოგადოებას» ეჭირვება დიდი მეცადინეობა და გამბედაობა, თუმც «საზოგადოების» მოქმედება და წესდება დამყარებულნი არიან კანონიერს ნიადაგზე და არასოდეს არ გადასულან კანონისაგან დანიშნულს სამზღვრებს. ამ აზრის სინამდვილეს ადვილად დავინახავთ, თუ თვალს გარდავავლებთ «საზოგადოების» ანგარიშს, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს მისსავე თავგადასავალს: როგორაც სჩანს, საზოგადოება მოკლებული იყო საშუალებას—არა ნივთიერს—სახალხო სკოლების დაარსებისათვის. დღემდის მხოლოდ ერთი სკოლა არსებობს «საზოგადოებისა» დაუბრკოლებრივ; ეს—ბათუმის სკოლაა, რომლის მდგომარეობა სწორედ სანატრელია ყველა ქართული სკოლებისათვის. ამ სკოლას დაუმსახურებია თანაგრძნობა მაჰმადიან და მართლ-მადიდებელ საზოგადოებისა, რომელიც უჩენს მას ყოველ გვარს შემწეობას. ეს გარემოება აიხსნება მხოლოდ იმ სარგებლობით, რომელიც მოაქვს სკოლას და რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სკოლის პროგრამასთან, მასწავლებლის ბეჯითობასთან და თვით «საზოგადოების» მეცადინეობასთან; პროგრამა კი სკოლისა სდგას ნამდვილს პედაგოგიურ პრინციპზე, რომელიც შეადგენს სკოლის წარმატების უმთავრესს პირობას. თითქმის ნახევარს მოსწავლეთა რიცხვისას ბათუმის სკოლაში შეადგენენ მაჰმადიანთა ქართველთა შვილები; ეს გარემოება მით უფრო შესანიშნავია, რომ ეს მოსწავლენი არიან შვილები იმ მაჰმადიანებისა, რომელნიც მიილტოდენ ოსმალეთისაკენ და ერთობ დაუნდობლად შესცქეროდენ თავიანთ მოძმე ქართველებსა. დღეს კი სკოლას ისე მოუგია იმათი გული, რომ მაჰმადიან ქართველთა განიძრახეს მიწის მიცემა სკოლისათვის; ზოგმა მათგანმა, რაკი სცნეს სკოლის სარგებლობა და დარწმუნდენ, რომ «წერა-კითხვის საზოგადოებამ» ნაყოფი მოუტანა მათ, წევრებათაც ჩაეწერნენ. რითი უნდა აიხსნებოდეს ყოველივე ესე, თუ არა «წერა-კითხვის საზოგადოების» ნაყოფიერი მოღვაწეობით და იმ სარგებლობით, რომელიც მოაქვს ნამდვილს პედაგოგიურს პრინციპზე დამყარებულს სკოლას. თუ კი ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ, რასაკვირველია, სწორედ ერთობ გულსაწყვავ გარემოებად უნდა ჩავთვალოთ ხსენებული «საზოგადოების» ფრთების შეკვეცა.

ამასთანავე უნდა მოვაგონოთ მკითხველებს, რომ წინარეხის სკოლა, რომლის ისტორიას გარკვევით მოგვითხრობს «საზოგადოების» ანგარიში, უკვე დაიკეტა თვით «საზოგადოების» სურვილის წინააღმდეგ.

რასაკვირველია, ყოველივე ამის გამო «საზოგადოება» არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთილებას, რადგანაც მასა აქვს კიდევ კანონიერი საშუალება თავის უფლებების აღსადგენად, და ამის შესრულების შემდეგ, უეჭველია, განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

თუ კი «საზოგადოებამ» ვერ მიაღწია თავის გულის წადილსა და წაერთვა მოქმედების უმთავრესი ასპარეზი, მაშინაც არ უნდა დაჰყაროს იარაღი და უნდა მიმართოს თავისი ძალ-ღონე სხვა რომელსამე საქმეს, რომელიც მის წესდებას არ ეწინააღმდეგება. ამ საგანს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით და ჯერ-ჯერობით კი ვურჩევთ ქართველ მკითხველებს დიდის ყურადღებით გარდაიკითხონ «წერა-კითხვის საზოგადოების» ანგარიში, რომელიც დაბეჭდილია «ივერიის» მე-VII და VIII წიგნებში და ცალკე ბროშიურებათაც გაეგზავნა «დროების» მკითხველებს. ეს საინტერესო ანგარიში ბევრს ისეთს საგნებზე აუხელს თვალებს ქართველს საზოგადოებას, რომლებზედ იგი ჯერ, შეიძლება, რიგიანად არ დაფიქრებულიყოს. კიდევ დავუმატებთ, რომ ეს ანგარიში შეიცავს ბევრს საგულისხმო ფაქტებს, რომელთაც პირ-დაპირი კავშირი აქვთ სწავლა-განათლების საქმესთან ჩვენში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაური ქრონიკა

≈ ჩვენა ვნახეთ მშვენიერი სურათი ფერადებით დახატული, შედგენილი ბ. საბინინისაგან. ამ სურათს ჰქვიან «საქართველოს ეკლესიას დიდება» და ნება დართულია პეტერბურგის სასულიერო ცენზურისაგან, ასე რომ იმედია, მალე ამ სურათის რამდენიმე ათასი ეგზემპლიარი მთელს საქართველოს მოეფინება. შუაში დახატულია მცხეთაში სიდონიას საფლავი, რომელშიაც სიდონიას ხელთ უპყრია წმინდა კვართი ქრისტესი; ზემოდამ საფლავს ღვთისმშობელი ადგამს ცხოველს სვეტს, რომელსაც მირონი გადმოსდის. სულ ზემოთ დახატულია დიდებით იესო ქრისტე. უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ცხოველს სვეტს აქეთ-იქით მოსდგომიან საქართველოს ყველა წმინდანები, მათ შორის ბევრი ისტორიული პირიც, მაგ. ვახტანგ-გორგასლან, თამარ მეფე, წმ. ნინო, ქეთევან დედოფალი, დავით აღმაშენებელი და სხვ. ყოველი სახე ცხოვლად არის გამოხატული და ეს კრება თითქო ისტორიული კალეიდოსკოპია, რომელიც ერთის შეხედვით მთელს ჩვენს ისტორიას მოგვაგონებს.

როგორც შევიტყეთ, ეს სურათი მალე დაიბეჭდება პეტერბურგში და მასუკან ძალიან იაფ-ფასად, თითო მანათ ნახევრად, ან ორ მანეთად გაისყიდება. ბ. საბინინი ამ სურათის

---

ბაგეთა უნებლიედ ღიმილი გამოხატეს...

ღიმილმა ღიმილი გამოიწვია.

საკვირველია წინა-გრძნობა ადამიანისა!—მე ვიფიქრე:—გავიცნობ მას და... მეტის თქმისა მეშინოდა მაშინ.—მე ვიყავ 15 წლის მოწაფე... კაცი არ ვიყავ და უნდა გავმხდარვიყავ, რომ ნება მქონიყო ამ გვარი ფიქრის გულში გავლებისა.

თვენი-თვეთ მისდევდენ... გავიდა წელიწადი; აღარ მინახავს იგი. იმ ქუჩით გავლაც მაშინებდა.

—

ერთს მშვენიერს დილას, ვით მოჩვენება, გამომეცხადა იქ... ჩვენს მეზობლად გადმოვიდა მისი სახლობა.

მე გავიცან... გავიცან და დავუახლოვდი...

ჟამნი რბოდენ და თან ჩემი დამოკიდებულებაც მასთან იცვლებოდა. ყოველს მისს დანახვაზედ რაღაც სხვა რიგად მიწყებდა გული ძგერას...

მე ვიდექ მეთვრამეტე წელში და ვგრძნობდი... სიყვარულს, სიყვარულს პირველს, ყოვლის უძლიერესს გრძნობათაგან...

მაგრამ, მეგობარო ვერ წარმოიდგენ, როგორ მაშინებდა ეს ყოვლად მშვენიერი გრძნობა. ვერა ვბედავდი მას შეხებას. იგი ჩაკლული იყო გულის სიღრმეში. სიყვარული იდუმალი, ფარული, სიყვარული ერთმხრივი და არა ურთი-ერთობრივი. არა ურთი-ერთობრივი მეთქი? რა ვიცოდი. იქნება მასაც, მასაც უყვ... არა, ვერ გავბედე, ვერ განუცხადე... რომ «არაო» ეთქო... იქნება თვით კიდეც ვხედავდი ამ «არას» მსგავსს რასმე... მაგრამ მისგან გაგონილს «არას»... მისგან წარმოთქმულს გავურბოდი-ღა.

ესე რიგ იქცა ჩემი სიყვარული იდუმლად... ზაფხულის საღამო იყო, პატარა ბარათი მივიღე: «....., მარტო ვარ, მოწყენილი, მოდი»... ეს იყო მისგან ჩემთან მოწერილი!!! არ ვიფიქრებდი, თუ სიზმრადაც ვეღირსებოდი ესეთს ბედს...

საჩქაროდ გავექანე. ღიმილით მომეგება კარებზე.

ეს იყო პირველი საღამო ჩვენ ორთა მარტოდ-მარტო ყოფნისა. არც რამ სიტყვით, არცა ქცევით, არც თუ სხვა რამით არ ვსცდილვარ (ვერცა ვბედავდი) შემემჩნევინებინა რამ მისთვის.

ამის შემდეგ თითქმის მუდამ საღამოს მარტოდ-მარტონი ვისხდით მე და ის ხან ჩემს ოთახში—ხან იმისას... ჩვენს დამოკიდებულებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, თუ არ დავსძენ მას, რომ გულს სიყვარულის ალის, რომ ეძახიან, უფრო-და-უფრო მედებოდა.

იგივ ტურფა საღამო იდგა. ფიქრთ გამიტაცეს... ოცნებათ გამართეს...

კარები გაიღო და შემოვიდა...

აქედამ, მეგობარო, ამ საღამოდამ გაჰსწყდა ჩემის მოთმინების ძალი და ჩემის ქცევით ვაგრძნობინე, მგონი, მას, რომ მიყვ....

გავიდა სულ ათი წამი... ის წამოდგა... წასვლა დააპირა... გამაკვირვა მისმა ქცევამ... ესე მცირე ხანი... და მიდის... თითქო უფლება რამ მქონიყო, არ გამეშვა... ჩემთან ყოფილიყო... მე არ ვუშვებ....

— გამიშვი, თორემ ხმას აღარ გაქცემ!..

— ხმას არ გამცემ!?. რისთვის?.. მე კარებზე ვიყავ მიბჯენილი. თავბრუ დამესხა... ამებნა თვალები და ზედ ცრემლთა ნაკადი მომასკდა...

— ხმას არ გამცემ?!. განა დაგიშავე რამ...წადი...წადი—და მოსხლეტილი დავეცი ტახტზე...

ის შეკრთა—შევამჩნიე...—რა იყო, არ მესმისო!?—დაბლად წარმოსთქვა და საჩქაროდ გაიხურა კარები...

კარგა ხანს ვიყავ იმავ მდგომარეობაში... ვსტიროდი, მწარედ ვსტიროდი... ბოლოს გამოვერკვიე.

— რა სისულელეა... ეს რა ჩავიდინე... იქნებ ვაწყინე რამ... იქნება ვეღარც კი ვნახო... მომერიდოს... რა სისულელეა... წავალ... ეხლავ წავალ—მოვინანიებ დანაშაულს...

და გიჟივით გამოვარდი ოთახიდამ... ის მარტო იყო... ჩემს მისვლაზედ თითქოს შეკრთა... მე თავი შევიმაგრე... გულ-დასმით ჰკითხულობდა რაღასაც...

— რად წამოხველ ისე ჩქარა?—მშვიდობიანად დავეკითხე.

— ჩავიკითხავ გვერდს და პასუხსაც მოგცემ!.. მე შევკრთი ამ პასუხზედ...—გავაჯავრე... დიაღ, სულელურის ქცევით გავაჯავრე... ეს ამოვიკითხე ამ პასუხის კილოში... და გრძნობით აღვსილი სინანულის თვალები მივაპყარ მშვენიერს... ესე ვუცქეროდი დიდს ხანს... გვერდი ჩაიკითხა—გვერდს-გვერდი მიჰყვა... ბოლოს აიღო თავი... მაგრამ თვალები უკვე გამიქვავდენ...

— რა რიგ ჩამომცქერი?..

მე არა ვუთხარი-რა... ის წამოდგა... მოვიდა... ხელი მხარზედ დამადო...

— იცი—რა გითხრა... შენი თვალები, ეს კარგა ხანია, რაღაც სხვა რიგ იყურებიან...

მხოლოდ აქ გამოვფხიზლდი...

— შენა გგონია... იქნება... არ ვიცი... არ ვიცი... ნახვამდის!.. და საჩქაროდ გამოველ.

გამოცემის ნებას აძლევს «წერა-კითხვის საზოგადოებას».

≈ ის შესანიშნავი წერილი თ. დ. თუმანიშვილისა, რომელიც ამ ორი კვირის წინად დავბეჭდეთ ჩვენს გაზეთში, დღეს «კავკაზსაც» გადაუბეჭდია მოკლედ და თითონაც მიუქცევია ყურადღება ექსპერტების ნაძალადევ თარგმანისათვის. ჩვენს გაზეთში არ დავასახელეთ ექსპერტების სახელი და გვარი, მაგრამ «კავკაზს» საჭიროდ უცვნია და სრულიად საფუძვლიანათაც მათი გამოაშკარავება:—რადგან ეხლა სამში მარტო ერთი-ღაა ცოცხალი—სახელდობრ ბ. დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც თავის ხელითვე დაუწერია ყველა თარგმანები და სხვებს მხოლოდ ხელი მოუწერიათ, ამიტომ ჩვენც «კავკაზთან» ერთად ვიწვევთ მას მოიხადოს თავისი ვალი საზოგადოების წინაშე და აუხსნას ეს გამოცანა, ეს თითქო დედამიწიდამ ამომძვრალი «თუ» და «მაშინ»-ები, რომელნიც ორიგინალურს დოკუმენტში სრულიან არ მოიპოვებიან.

≈ ამას წინად მკითხველებს შევატყობინეთ, რომ აფხაზეთიდამ ორი ბულგარებით დასახლებული სოფელი გადასახლებას აპირებსო. ეხლა გვატყობინებენ, რომ ერთი სოფლისათვის ადგილობრივს მთავრობას გადასახლების ნება არ მიუცია, რადგან ბულგარების წასვლის შემდეგ ეს სოფელი სრულიად ცარიელი დარჩებოდა. ბულგარებს ეუბნებიან თურმე, თუ აქ დასასახლებელი გამოჩნდა ვინმე, მაშინ გაგიშვებთო. საკვირველია, ღმერთმან იცის, ხალხი წასვლას ეჩქარება, ეგება არ დაიხოცოთო და ეუბნებიან, მაშინ გაგიშვებთ, თუ სხვა სასიკვდილო კანდიდატი გამოჩნდა ვინმეო.

აფხაზეთიდამ მოსულ ამბებში იმ დღეს შეცდომით ვაცნობეთ მკითხველებს, რომ «ბერებს სამს დესეტინას აძლევენო»; უნდა ყოფილიყო «სამასს დესიატინამდის აძლევენო».

≈ სოფ. წყევიდამ (შორაპნის მაზრა) გვწერენ: «ძვირად გაგვიგონია ასეთი უხვი მოსავალი, როგორიც წელს ჩვენს სოფელში მოვიდა. ბევრმა ას-ას ჩაფიანი ქვევრი იყიდა, რომ ღვინო ძველ ქვევრებში ველარ დასტია. ამ შემთხვევის გამო ქვევრები საგრძნობლად გაძვირდა ჩვენში. ადრე რომ თუმნად იყიდდით ქვევრს, დღეს ჩვიდმეტ-თვრამეტ მანეთ ნაკლებ არავინ იძლევა.

ჩვენს სოფელში არის პატარა ბაზარი, რომელიც თითქმის ას დუქნამდეა. ამ დუქნებზედ თვალ-ყური არავის უჭირავს. მაგალითად, ამ ბაზარში მარიამობიდამ ნოემბრის ნახევრამდის ათი ათასი მეტი თხა, ცხვარი, ღორი, ძროხა და ხარი დაიკლის. ადგილი არავის არა აქვს ამორჩეული და სადაც სურთ ყასპებს, იქა ჰკლენ და, რასაკვირველია, ამის გამო მეტის-მეტი საძაგელი სუნია სოფელში დამდგარი.

≈ ამას წინად, ოქტომბერში «დროებაში» გამოცხადებული იყო ხონის სამასწავლებლო სემინარიის შეგირდების უკიდურესი სიღარიბის ამბავი. ამის თაობაზედ ახლა კიდევა გვწერენ: თუმცა წარსულ აპრილის წარმოდგენიდამ მათ შესაწევრად წმინდა შემოსავალი დარჩაო 122 მანეთი და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმაც მათთვისვე გადასდო წელს სამასი მანეთი, მაგრამ შეგირდებს ამ ფულების წყალობით კეთილდღეობა არა დასტყობიათ რაო.

≈ ყოველ დღე ხონსა და ქუთაისს შუა დილიჟანი დადის. თუმცა ეს საზოგადოებისათვის ძალიან მარჯვეა, მაგრამ დილიჟნების მეპატრონეები თურმე ბევრს უწესოებას ჩადიან. მაგალითად: ბილეთში სწერია, რომ დილიჟანი ქუთაისიდამ ხონში ნაშუადღევის ორ საათზე გავაო, მაგრამ ხშირად ამაზე ადრე გადის და პასაჟირებს ისე სტოვებს. ამ უწესოების გამო ამას წინად, 30-ს ოქტომბერს, მოსვლიათ უსიამოვნობა მედილიჟნეს დ. ბ—ძეს და პასაჟირს ცხ—-იას და ამ უკანასკნელს კაი ცხენიც მოუკლავს პირველისათვის.

≈ «კასპიი» გვაცნობებს, რომ ჩვენებურს ნავთს პოზნანში, პრუსიის პროვინციაში, ისე შესჩვევიან, რომ ლამის ამერიკის ნავთი სრულიად განდევნოსო. ჩვენებური ნავთი თურმე ბევრად იაფია ამერიკისაზედ.

≈ «ნოვოე ვრემია» გვატყობინებს, რომ ახალის პროექტის ძალით კავკასიის მინერალურ წყლებთან ისეთი მომართულება იქნება, რომ ავადმყოფებს გაუადვილდეთ ამ წყლების ხმარება და იაფათაც დაუჯდეთ იქ ყოფნა. ამ წყლების საქმეების გამგეობა დროებით მინდობილი ექნება მთავრობისაგან დანიშნულს ინსპექტორს.

## «დროების» კორესპონდენცია.

ორპირი. 4 ნოემბ. «კარგისათვის კარგი არავის უქმნია, მოუწონე გული!» ეს სიტყვები გამახსენდა, როცა ბ. ხელაშვილზედ წავიკითხე «დროების» 220 №-ში შემდგომი სიტყვები: «აქ მცირე ადგილი არ ექნებოდა ჩვენებურს ინტრიგასა და მითქმა-მოთქმასა». ნამდვილი შენიშვნაა და ბატ. ხელაშვილის წინააღმდეგ ინტრიგანტის ასაწითლებლად ეგეც საკმაოა. მაგრამ რა გამოვიდა, ეგ საქმეს ვერ უშველის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს კი მოაკლდა საქმის ერთ-გული კაცი, რომლის წყალობით ამ სასწავლებელში სწავლა კარგ ნიადაგზედ იყო დაყენებული და დღესაც რომ კარგ ნიადაგზედ არის დაყენებული ამის დამტკიცებას, იმედია, არც კი მომთხოვს მკითხველი, რადგანაც მან კარგად იცის ამის სინამდვილე «დროების» 218 №-გან. იმას კი არ ვიტყვით, რომ ბ. ხელაშვილი რომის პაპა იყოს უცოდველი, მაგრამ რომ ის საქმის ერთ-გული იყო და მუდამ სცდილობდა ყმაწვილების წარმატებას, ამას ჩვენ გვიმტკიცებს სასწავლებლის მდგომარეობაც. ბ. ხელაშვილი დაინიშნა ზედამხედველად ამ სასწავლებელში იმ დროს, როდესაც სასწავლებელი იყო მივარდნილ ადგილას—მარტვილში. ყმაწვილები ძლიერ გაზვიადებულნი და გაზარმაცებულნი იყვნენ. მასწავლებლებიც არ იყვნენ მაინც და მაინც ერთ-გულნი, რადგანაც მათ არა ჰყავდათ კარგი წინამძღოლი, კარგი ზედამხედველი. ზედამხედველად იყო მის წინ დროებით ბ. კ. მოულოდნელაძე, რომელიც ხშირად აშრობდა «განწმენდილის» ბოთლებს და რომელმაც კარგად შეასწავლა პატარა მეგრელებს რუსულად ლანძღვა-გინება და დუქნებში ბანქოსის

---

ვერ აგიხსნი, მეგობარო, რად, მაგრამ ამ დღის შემდეგ ვერიდებოდი მის შეხვედრას...

და გარემოებამ-კი სხვა რიგ მოათავსა საქმე...

—

იმ დღეს ჩვენსა რამდენიმე პირთ თავი მოიყარეს დროს გასატარებლად... ისიც იქ იყო...

მე ვიყავ ბავშვობიდამვე მეტისმეტი მუსიკის მოყვარული და ეხლა, ჩემის მდგომარეობის წყალობით, უფრო გამიცხოველდა ეს სიყვარული მუსიკისადმი...

— წამო—ვუთხარ მას—მოისმინე ერთი პიესა, რომელსაც ჩემის თხოვნით დაუკვრენ ეხლა და რომელიც მე ძლიერ მომწონს...

მისმა ცელქობამ, მხიარულებამ თუ არ იმატა,—არა დაჰკლებია-რა ამ საღამოს...

— ოო, თუ შენ მოგწონს, უეჭველია — კარგი იქნება,—წამტაცის ღიმილით, მხიარულად მომიგო მან.

რაღამაც მწარედ ჩამკრა გულს... «ნუ თუ დამცინის?»—გავიფიქრე.

ის ჩამოჯდა პიანინოს ერთის მხრით, მე მეორეს მხრით.

მუსიკა დაიწყო და თან რაღაც უცნაურის ძალით შეაკავშირა ჩვენ ორთა გრძნობა.

არ ვიცი—რამდენს ხანს ვიყავ ამ ყოფაში, მაგრამ, როდესაც გამოვერკვიე, მუსიკაც მორჩომილიყო და აღარც ის იჯდა იქ... მე ვიკითხე... ოთახზე მიმითითეს... შეველ... იქ იჯდა და ჩუმად სტიროდა...

— კიდევ ჩემი სისულელე!?—გავიფიქრე.—შენ სტირი, რად, რა ამბავია?!. გვერდთ უჯდა სხვა—მან მიპასუხა...

— არ ვიცი, ღმერთმანი... შემოვიდა და სტირის... ვეკითხები—არას მეუბნება!..

— რად სტირი, ქალო?—გავუმეორე.

— მსურს და ვსტირი... შეგიძლიან გამომაცილო სახლამდის!?—თითქმის გაჯავრებით წარმოსთქვა და წამოდგა...

— ბატონი ხარ, წავიდეთ!..

ჩვენ გამოველით... მე მივეც ხელი..

— ეხლა მეტყვი—იქნება იქ გერიდებოდა, რად სტიროდი?.. ეხლაც სტირი!?.

— არ ვიცი!..

— მე ვიცი!.. და ისიც ვიცი, რომ ეგ სისულელეა შენგან... გაწყენინე, არა?.. მომიტევე... მითხარ... როგორ მიყურებ მე შენ?.. გთხოვ ჩამთვალო ერთგულ... ძმად... და მეგობრად...

აქაც თითქო თავს-ბრუ მესხმოდა... არ მესმოდა—რას ვამბობდი... მე ძმობა განვუცხადე—ტანის ცახცახიკი, მთრთოლვარე ხმა, ცემა გულისა, რომელიც ისე ახლო იყო მისს გულთან, ნუ თუ არ აჯერებდენ მას, რომ და-ძმურს განწყობას ჩვენ-შუა ხელი არ ჰქონდა... ბარემ, ბარემ, რომ აჯერებდენ, ბარემ, რომ იმ წამს სულ სხვასა ვგრძნობდით... მაგრამ...

— გმადლობ!—მითხრა... და გამოვემშვიდობეთ... დიაღ, გა...მო...ვემ...შვი...დო...ბეთ...

მასუკან მეწვია, მეგობარო, ჩემი სენი—თან შემეზარდა მე იგი. მასუკან ზომაზედ მეტად თუნდ მესიამოვნოს, თუნდ მეწყინოს რამ, მუნჯად ვიქცევი ხოლმე. სანამ ჩემით არა, სხვა ნურვინ ეცდება უბრალოდ გამომარკვიოს...

ეხლა მაგონდება, წუხელ რა იყო მიზეზი, რომ მუნჯობამ მომიარა... შენ მითხარ—ხუმრობით უთუოდ: მოდი ერთი, ძმაო, ცოლი შეირთეო!

მე პასუხის მაგიერ დაგიმუნჯდი, განა. ვინ იცის—გაჯავრდი, მლანძღე კიდეც... ყურთ არ მაკლია... მესმოდა... და პასუხი კი არ გაღირსე...

ეხლაც მირჩევ, ნუ თუ ცოლი შევირთო?!?

ნახვამდის... გაშორის, მეგობარო, ესეთი სენი, რომელიც მე მანახევარკაცებს...

შენი მარადის....

—

ეს წერილი მივიღე ჩემის გულითადი მეგობრისაგან, რომლის ნდობას ვღალატობ და საქვეყნოდ ვავრცელებ მას (წერილს)... ჩემი რჩევა, რომ ექიმებს დაჰკითხოდა, სიცილით მოისმინა და ამ ჟამად სოფლად ცხოვრება აირჩია, რომ უფრო იშვიათად შეხვდეს მიზეზს თვისის სენისას, რომელიც, მართლაც რომ, საშინელი და სამაგალითოა. მას შემდეგ ჩემთან ერთხელ კიდევ მოუარა მას «სიჩუმემ». ჩვენ ერთად დავსეირნობდით ბაღში. უეცრად შეჰკრთა ჩემი მეგობარი და ხელზედ ხელი წამავლო. ჩვენ შეგვხვდა ის.—ეგ არის შენი წერილის «ის»?—ვკითხე მე.

— ვინ ის?—გაცხარებული წარმოსთქვა იმან.—გრცხვენოდეს ეგ და არის ჩემი... მე მაგის ძმ...

ეს მოკლე სიტყვაც ვერ გაათავა... გაუშტერდა თვალები... ჩაუვარდა ენა... რა ზომა არ ვიხმარე—ხელითაც შევეხე, ვერა გზით ვერ გამოვაფხიზლე... ხშირად საათობით არის ამ ყოფაში... ამ დროს არც ფერი აქვს სიცოცხლისა და თვალებშიაც ეკარგება ყოველივე გრძნობა...

რით განიკურნება ეგ სენი?..

დ. სოფლელი.

ს. რიონი, 20 ღვინობისთვეს 1883.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანისცემა. მოვიდა ზ. ხელაშვილი და მოულოდნელამე მოულოდნელად გაჰქრა, რისთვის? იმისთვის, რომ ხელაშვილი ქრისტიანი იყო, არ იყო კერპთაყვანისმცემელი, ის ნაკლებად სცემდა ბახუსს თაყვანს და მოულოდნელამე კი სულ სხვა იყო. ქრისტიანი და კერპთაყვანის მცემელი ძმებად არ გამოდგებოდნენ და გაიყარნენ. იმის შემდეგ დარჩა ხელაშვილი და მოჰკიდა თავის საქმეს ხელი; მასწავლებლებში კარგი ძმობა და ამხანაგობა დაადგინა, პედაგოგიური წიგნები და ჟურნალები გამოიწერა. მოსწავლეები თუ დარიგებით, თუ შრომით, თუ მაგალითით მიიზიდა, კეთილ გზაზედ დააყენა და მათთვის საკითხავი წიგნები გამოიწერა რასაკვირველია, მისი მეცადინეობა შეგირდებსაც დაეტყობოდათ; აქ კურს-შესრულებულებს სასულიერო სემინარიაშიაც იღებდენ, გიმნაზიაშიაც და სამასწავლებლო სემინარიაშიაც და მიღებულები, რადგანაც სასწავლებელში კარგ გზაზედ იყვნენ დაყენებულნი, დღესაც კარგად სწავლობენ აღნიშნულ სასწავლებლებში.

ახლა კი გავიგეთ, რომ ზ. ხელაშვილს თხოვნა მიუცია და სამსახურს თავს ანებებსო, რადგანაც მას ამ უკანასკნელ დროში გამოულაშქრენ მტერნი, თუ მოყვასნი და დამარცხება მოუნდომეს. იმის მაგიერ სემინარიის ერთ მასწავლებელს ამწესებენო. ეს მასწავლებელი სახელდობ ვინ არის, ჯერ არ ვიცით და როგორი კაცია, რასაკვირველია, არც ის გვეცოდინება, მაგრამ ვისურვებთ, რომ ზ. ხელაშვილს თუ არ აჯობა, იმისთანა მაინც გამომდგარიყოს; ვისურვებთ, რომ მას ყმაწვილებისთვის გაეწიოს მამობა და არა მამინაცვლობა.

---



# განცხადებანი

## თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ 18-ს ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ, მის თანადასწრებითა, დანიშნული გაჰრობა ქალაქის ადგილების იჯარით გაცემაზე.

1) ავლაბრის ადგილისა გაჯის ამოსაღებად, ზომა 229 დესიატინა, 1560 კვად. საჟ. 1-ლის იანვრიდამ 1884 წ. 1 იანვრამდე 1887 წ.

2) კუკიის ადგილისა, ზომა 888 დესიატინა 1800 კვად. საჟ. სახნავ-სათესი, საძოვარი და სხვა სამეურნეო საქმისათვის საჭირო, 1-ლის დეკემბრიდამ ამ წლისა სამის წლით.

3) ნავთლუღის ადგილისა, ზომა 194 დესიატინა, 100 კვ. საჟ. საძოვარი, სათიბი და საბოსტნე 1-ლის იანვრიდამ 1884 წლისა 1 ლს იანვრამდე 1887 წ. პირობების ნახვა შეიძლება გამგეობის (უპრავის) კანცელიარიაში დილის 8 საათიდამ 2 საათამდე შუადღის უკან, გარდა უქმე დღეებისა. (3—1)

## თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მაღაზიები ქალაქის სახლში ერევნის მოედანზედ დასრულებულნი იქმნებიან 1884 წლის პირველის იანვრისათვის; ამის გამო გამგეობა მოიწვევს იმ პირთ, რომელთაც ამ მაღაზიების ქირით აღება სურთ, გამოუცხადონ გამგეობას ეხლავე, როგორ უნდა გაიყოს მაღაზიები ერთიერთმანეთისაგან, რომ სრულის მომართვის შემდეგ გადაკეთება აღარა დასჭირდეთ რა. ამ საგანზედ გამოცხადება მიიღება გამგეობაში (უპრავაში) ყოველ დღე ნაშუადღევის ორს საათამდე. (3—1)

## სოხუმის ქალაქის პოლიციის სასამართლო

იძლევა იჯარით ქალაქის საკუთარ მიწებს მახლობლად ქ. სოხუმისა ადგილობრივ: ს. ბურცს, იაშთხვას და ლოჩქოფი წყლის პირად, ზომით 1500 დესიატინა ძლიერ კარგი და რიგიანი ადგილები ხვნა-თესისათვის პურისა, სიმიდისა, თამბაქოსი და ეგრეთვე სათიბები, მსურველთ თითეულ პირთ შეუძლიანთ აიღონ იჯარად ორი დესეტინაიდამ ოც-და-ათ დესეტინამდი, ორის წლიდან რვა წლის ვადით; ამისათვის პოლიციის სასამართლო იწვევს მსურველ პირთ გამოცხადდენ სასამართლოში აღმოსარჩევად მიწისა, და ვინიცობაა დაეთანხმნენ ქალაქს იჯარის ფულის თაობაზედ და შეეკვრენ პირობას, იმ შემთხვევაში მოიჯარადრე იღებს აღმორჩეულს ადგილს თავისუფლობაში იჯარის ვადის გასვლამდის; ფასი ადგილებისა, რომელზედაც ყოველგან ხილებია და ბახჩები იმას გარდა, პირველს და მეორე წელში ორი მანეთიდან ოთხ მანეთამდის, მესამე წელს სამი მანეთიდან ხუთ მანეთამდის, მეოთხე და მეხუთე წელში ხუთი მანეთიდან რვა მანეთამდის თითოეული დესიატინა წელიწადში. (3—1)

ოპერატორს, მედიცინის დოქტორს

## ქიუჩარიანცს

აქვს ბაღის ქუჩაზედ (Садовая ул.) განსაკუთრებული სამუდამო სადგური ავად-მყოფებისათვის, რომელთაც სიფილისი სჭირთ, ან შარდისა და საშვილოსნო ორგანოები სტკივათ, ან კიდევ ხირურგიული ოპერაციები ეჭირვებათ. (14—7)

## კავკასიის აქეთა მხრის გზის გამგეობა.

იწვევს მათ, ვინც ისურვებს შეშის იჯარით აღებას ამ გზის სტანციებისთვის თბილისიდამ მოყოლებული ბაქომდენ. სთხოვენ, შეშის ფასებზე და იჯარის პირობებზე განცხადებანი გამოგზავნონ გზის გამგეობაში, მატერიალური სამსახურის უფროსის სახელზე. (6—4)

# სქემა

გირავოს ფურცელთა ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკისა, გამოსულთა მეთოთხმეტე XIV ტირაჟში 1 ნოემბერს 1883 წლისა, 57,500 მანეთისა.

### ა. $43^{1}/_{2}$ წლიანნი.

500 მანეთიანნი.

| | | |
|---|---|---|
| 3 სერიისა . | . № | 14. |

100 მანეთიანნი.

| | | |
|---|---|---|
| 4 სერიისა . | . №№ | 85 და 89. |
| 5 » . | . » » | 28, 58, 74 და 97. |
| 6 » . | . » » | 90, 158 და 171. |
| 7 » . | . » » | 47, 156 და 201. |
| შემდგომის სერიებისა | » » | 939, 947, 951, 957, 975, 998, 1019, 1038, 1092, 1098, 1108, 1116, 1133 და 1144. |

### ბ. $18^{7}/_{12}$ წლიანნი.

1000 მანეთიანნი.

| | | |
|---|---|---|
| 2 სერიისა . | . №№ | 50 და 54. |
| 3 » . | . № | 30. |
| 4 » . | . » | 25. |
| 7 » . | . №№ | 45 და 68. |
| შემდგომის სერიებისა | » » | 301, 435, 471, 646, 668, 697, 708, 713, 808, 921, 991, 1033, 1065, 1135, 1150, 1219, 1221, 1395, 1438, 1478, 1564, 1681, 1739, 1769, 1843, 1858, 1906, 2013, 2069, 2174, 2246, 2314, 2320, 2378, 2424, 2529, 2658 და 2672. |

500 მანეთიანნი.

| | | |
|---|---|---|
| 5 სერიისა . | . № | 5. |
| 7 » . | . №№ | 18 და 48. |
| შემდგომის სერიებისა | » » | 272, 284, 288, 289, 327, 333, 404, 468, 501, 530, 544, 618, 684 და 696. |

100 მანეთიანნი.

| | | |
|---|---|---|
| 3 სერიისა . | . №№ | 24, 31 და 48. |
| 4 » . | . » » | 17 და 41. |
| 6 » . | . » » | 17 და 18. |
| 7 » . | . » » | 41 და 129. |
| შემდგომის სერიებისა | » » | 867, 876, 968, 1001, 1279, 1284, 1325, 1372, 1380 და 1561. |

შენიშვნანი:

1. ზღვევა გირავოს ფურცელთა, გამოსულთა ამა მეთოთხმეტე ტირაჟში, და აგრეთვე მიმდინარე კუპონთა, დაიწყება მეორე იანვრიდან მომავლის 1884 წლისა და შემდეგ ამ დროიდგანვე მოისპობა სარგებელი ამა ფურცელთა.

2. საზღვეველად წარმოდგენილთა გირავოს ფურცელთა ყველა კუპონები ზედ უნდა ჰქონდეთ სარგებლის მოსპობის ვადამდე, როგორც ზევით ნათქომია; ხოლო უკეთუ ამ კუპონების რიცხვიდან რომელიმე დააკლდა, მაშინ ამ დანაკლისის კუპონების ფასი გამოირიცხება გირავოს ფურცლის საზღვეველის ფულისაგან.

3. ზღვევა ტირაჟში გამოსულთა გირავოს ფურცელთა და აგრეთვე კუპონთა მოხდება:

ქ. ქუთაისს—ბანკის სამმართველოში.

ს.-პეტერბურგს—სახელმწიფო ბანკში და ვაველბერგის საბანკირო კონტორაში.

მოსკოვს, ოდესსას და როსტოვს (დონის მდინარესთან) სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს კონტორებში.

ვარშავას—ვაველბერგის საბანკირო კონტორაში.

თბილისს, ნიჟნი-ნოვგოროდს, ვლადიკავკაზს და ბაქოს—სახელმწიფო ბანკის ადგილობრივს განყოფილებებში.

4. ამ სქემაში არიან ნაჩვენებნი №№ მხოლოდ პირველთა შვიდთა სერიათა, მისთვის რომ გირავოს ფურცელთა №№ თვითოეულის ამ სერიათაგანისა იწყებიან პირველიდგან და მიმდინარეობენ ცალ-ცალკე; ხოლო შემდგომთა სერიათა, დაწყებული მერვიდან, №№ სერიათა არ არიან ნაჩვენებნი, ვინაიდგან ამ სერიათა გირავოს ფურცლების №№ მიდიან განუწყვეტლივ და ამის გამო ეს №№ არაოდეს არ განმეორდებიან. (1—1)



Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Ноября 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ზ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.